

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 4

ქალაქი რუსთავი

26 თებერვალი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ქავთარაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- | | | |
|---------------------|---|--|
| ნანა შატბერაშვილი | - | საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე |
| ნინო ნიკოლავა | - | მერიის აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |
| ნინო ქვირია | - | მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |
| ეკატერინე ხუციშვილი | - | ა(ა)იპ „ქ.რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი |

ასევე ესწრებოდნენ:

გოჩა ლორია	-	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
გრიგოლ ვეფხვაძე	-	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ჯღარკავა	-	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე
გეგი ლიპარტელიანი	-	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ დირექტორი
ნაზი პაჭიკაშვილი	-	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის ისტორიული მუზეუმის“ დირექტორი
მარიკა ფიროსმანაშვილი	-	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ სახელოვნებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი

N 10 სკოლის მოსწავლეები და პედაგოგი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხილვა;
2. სხვადასხვა.

საკითხი №1

სხდომის თავმჯდომარემ - **ნინო ქავთარაძემ** სხდომაზე დამსწრეთ გააცნო პირველი საკითხი, გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხილვა, და განმარტა

ნინო ქავთარაძე - „დღეს აქ გვესწრებიან მეთე საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგი. მინდა მათთვის განმარტება გავაკეთო, თუ რა სხდომაზე იმყოფებიან. ეს არის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც საკრებულოში შეიქმნა 2017 წლის სექტემბერში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან რუსთავის საკრებულოს დეპუტატები, მერიის წარმომადგენლები და ასევე გვყავს წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციიდანაც. ეს საბჭო ემსახურება იმას, რომ ყველა ის პროგრამა, რაც ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტში იყოს დაფუძნებული გენდერული თანასწორობის პრინციპზე. აქვე მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ გენდერული თანასწორობა, გულისხმობს უფლებების და პასუხისმგებლობების თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის. იმ რეალობაში სადაც იჩაგრებიან ქალები, მხარდაჭერა ჭირდებათ ქალბატონებს და სადაც იჩაგრებიან მამაკაცები , შესაბამისად მხარდაჭერა ჭირდებათ მამაკაცებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში, მოხდა შემუშავება სამოქმედო გეგმის, რომელიც უნდა განხორციელდეს 2019-2020 წლებში. ამ სამოქმედო გეგმაში ჩართული იქნება ფაქტობრივად მთელი ქალაქი. ბოლო საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ ეს სამოქმედო გეგმა და უკვე უნდა შევუდგეთ მის განხორციელებას. მოგეხსენებათ მარტის თვე არის ქალბატონების თვე, ეს არის კარგი პერიოდი რიგი ღონისძიებების განსახორციელებლად. ყველამ ვიცით, რომ 3 მარტი არის დედების დღე 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა. პირველ რიგში რასაც ვაპირებთ და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, ეს არის რუსთაველი წარმატებული სპორტსმენი ქალის მარო ტყავაძის სახელი მიენიჭოს რომელიმე ქუჩას. დამეთანხმებით იშვიათია სპორტსმენი ქალი, რომელიც ასე გაუთქვამს სახელს საკუთარ ქალაქს. ქალბატონი მარო იყო პირველი მანდილოსანი ქალი, ამასთანავე რუსთაველი, რომელმაც დალაშქრა იალბუზი. მემგონი არ უნდა იყოს საკამათო, ამ ქალბატონის სახელი დაერქვას რუსთავში ერთ-ერთ ქუჩას. მინდა საკითხის ინიცირება გავაკეთოთ საკრებულოს სხდომაზე და შემდეგ ეს დაევალება შესაბამის კომისიას“

გოჩა ლორია- „ნამდვილად კარგი ინიციატივაა, მივესალმები“

გიორგი ჯღარკავა- „არ მგონია ამ საკითხის მიმართ ვინმეს რამე საწინააღმდეგო აზრი ჰქონდეს“

ნინო ქავთარაძე- „შემდეგი საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბროთ არის „ესეები“-ს კონკურსი. ეს კონკურსი ჩვენი დღევანდელი სტუმრებისათვისაც საინტერესო იქნება. გენდერის საკითხებზე მერიის მხრიდან

პასუხისმგებელი პირი არის ქალბატონი ნინო ნიკოლავა და მას ვთხოვ განმარტოს, თუ რას მოიცავს ეს კონკურსი“

ნინო ნიკოლავა- „გადავწყვიტეთ მარტის თვეში, სკოლებს შორის ჩავატაროთ აღნიშნული კონკურსი. ეს იქნება გენდერის საკითხებზე. ვითანამშრომლებთ რესურს ცენტრთან, რომ სკოლებში ამის ორგანიზება მოხდეს. ამ კონკურსის შემდეგ მერია აპირებს პატარა ბროშურების გამოცემას სადაც დაიბეჭდება საუკეთესო 10 ნამუშევარი. რომელიც დაურიგდება უშუალოდ კონკურსანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებსაც. გენდერული თანასწორობა იქნება ზოგადად თემა და კონკრეტულ სათაურზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ. მეორე რა სათხოვარიც გვექნება რესურს ცენტრთან არის ის, რომ მოგვაწოდონ სპორტის პედაგოგების (ქალბატონების) სია, მათთვის და ზოგადად ქალი სპორტსმენებისთვის გვინდა დავგეგმოთ ღონისძიება და ამაში აუცილებლად დაგვჭირდება გეგი ლიპარტელიანის დახმარება“

გეგი ლიპარტელიანი- „რა თქმა უნდა ჩვენი სამსახური გვერდში დაგიდგებათ, მოგვაწოდეთ თქვენი იდეები, განვაგრძოთ და დავგეგმოთ შესაბამისი ღონისძიება“

ნინო ქავთარაძე- „რუსთავი არის თვითმმართველობათა ასოციაციის წევრი და მე ვარ ამ ასოციაციაში რუსთავის წარმომადგენელი. ამ ასოციაციის ფარგლებში არსებობს გენდერული თანასწორობის ფლატფორმა, ანუ გენდერულ თემაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის იდეაც არის , რომ მოხდეს ამ საკითხის მეტად გააქტიურება. მოხდეს ქალთა ოთახების ფუნქციურად დატვირთვა, რათა ისინი ჩაებან გენდერული საბჭოს მუშაობაში. დღეს სხდომაზე გვესწრება მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ქალბატონი ნინო ქვირია და ვიცი, რომ მას დაგეგმილი აქვს მარტის თვეში რიგი ღონისძიებები ქალთა ოთახთან დაკავშირებით, გთხოვთ ქალბატონო ნინო მოგვახსენოთ ამის შესახებ“

ნინო ქვირია- „ჩვენ გვინდა ისეთი კერა გაჩნდეს, ქალთა ოთახის არსებობით, რომელსაც ქმედითი დახმარების გაწევის საშუალება ექნება ქალბატონებისთვის. კონკრეტული პროექტი თქვენც შეგიძლიათ დაწეროთ, ან იდეის დონეზე მაინც მოგვაწოდოთ, თუ ფუნქციურად როგორ დავტვირთოთ ეს ოთახი. ძირითადად ეს არის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი ახალგაზრდა გოგონებისთვის, ახალბედა დედებისთვის და ზოგადად დიასახლისებისათვის. რაც შეეხება მარტის ღონისძიებებს, 3 მარტთან დაკავშირებით მრავალ შვილიან დედებს გადავცემთ საჩუქრებს, მოხუცთა თავშესაფარში მოვინახულებთ და დედის დღეს მივულოცავთ იქ მცხოვრებ მოხუცებს და ასევე მოვინახულებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ცენტრის ბენეფიციარებს“

გეგი ლიპარტელიანი- „ტრადიციულად ავღნიშნავთ 3 და 8 მარტს. 3 მარტს რუსთავის თეატრში გაიმართება კონცერტი მრავალშვილიანი დედებისთვის, 8 მარტს ჩამოგვყავს მარჯანიშვილის თეატრი სპექტაკლით „ცუდი ბიჭები“ წელს გვაქვს ასევე საერთაშორისო მოქანდაკეთა სიმპოზიუმი, მინდა ავღნიშნო, რომ სიმპოზიუმიში მონაწილე 5 მოქანდაკედან 4 არის ქალბატონი“

მარია ფიროსმანაშვილი- „მამაკაცებმა თავი დაჩაგრულად, რომ არ იგრძნონ, მინდა მოგახსენოთ კიდევ ერთი ღონისძიების შესახებ. მოგეხსენებათ 7 მარტს არის ბატონი ჟიული შარტავას 75 წლის იუბილე და ამ დღესთან დაკავშირებითაც გაიმართება ღონისძიება. ასევე 21 მარტს არის დაუნის სინდრომის მქონე პირთა დღე და პირველი სამუსიკო სასწავლებლის ახლად რეაბიტირებულ სკვერში შემოგთავაზებთ ძალიან საინტერესო და სანახაობრივ ღონისძიებას. ვთხოვთ რესურს ცენტრს დაგვეხმარონ და მოგვაწოდონ ასეთი სინდრომის მქონე ბავშვების სია და მათ აუცილებლად მოვიწვევთ ღონისძიებაზე“

ეკატერინე ხუციშვილი- „ბაღებშიც რა თქმა უნდა დაგეგმილი არის საგაზაფხულო ღონისძიებები, დედის დღესთან, 8 მარტთან და ზოგადად გაზაფხულის მობრძანებასთან დაკავშირებით. ვისაც სურვილი გექნებათ შეგიძლიათ მობრძანდეთ და დაესწროთ“

ნაზი პაჭიკაშვილი- „მუზეუმიც რაღა თქმა უნდა უერთდება მარტის ღონისძიებებს და 8 მარტს შემოგთავაზებთ რუსთაველი მხატვარი ქალბატონების გამოფენას“

ნინო ქავთარაძე მადლობა მოუხადა სამუშაო ჯგუფის წევრებს, მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო ქავთარაძე

სხდომის თავმჯდომარე